თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. თერჯოლა 03.05.2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბრეაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გიორგი ბარათაშვილი, 5. მანუჩრ ფანჩულიძე, 6. რამინი რობაქიძე, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გოჩა ვერულაშვილი, 2. გრიგოლ გიორგაძე, 3. კობა კირკიტაძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282211835 წერილი, 2022.28.04);

   /მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282211834 წერილი, 2022.28.04);

   /მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 2297.2 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 25086.5 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 2297.2 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა საშემოსავლო ნაწილის პარალელურად 2297.2 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარება - პროგრამის ფარგლებში, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან დაფინანსება, ტურისტებისათვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფელ ძევრში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა 1214,5 ათასი ლარით და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზაციის მოზნით, ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული ღია ამფითეატრისა, მის მიმდებარედ არსებული შენობა- ნაგებობების ფასადებისა და სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია 1082,7 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ვერულაშვილმა, გრიგოლ გიორგაძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: მანუჩარ ფანჩულიძემ, ფრიდონ გვენეტაძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი